„ივერი-ფილმი“ ასოციაცია „პეგასის“ ეგიდით საყურადღებო მამულიშვილური პროგრამის განხორციელებას აპირებს. დავეწყებთ სერიოზულ გადაღებას საქართველოს წარსულზე, ხვალისდელი დამოუკიდებელი საქართველოს ბედნიერი დღე ხომ ჩვენს მძლავრ ეროვნულ ფესვზე უნდა აღორძინდეს.

**ოთარ კოხჩიაშვილი,**  
საქართველოს კულტურის საერთაშორისო ასოციაცია „პეგასის“ შემოქმედებითი-საწარმოო გაერთიანება „ივერი-ფილმის“ დირექტორი და სამხატვრო ხელმძღვანელი, საქართველოს სახალხო არტისტი.

**სურათიანაძე:** რეჟისორი ოთარ კოხჩიაშვილი; ქართველ და ბრაზილიელ მხანობთა ერთი ჯგუფი.

ასეთი გაზეთი გვჭირდება



საქართველოში ეროვნული აღორძინების დადგომამ წარმოშვა აუცილებლობა ყოველგვარი ბუროკრატიული და კონსერვატიული საგან თავის დაღწევის გზების გამოძიებისა. ძველებურად ცხოვრება უკვე აღარ შეიძლება, ვინაა პროგრესულსა და ეროვნულს უნდა მივცეს. თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია, რომლის აღზრდილებსაც არა ერთხელ უსახელებიათ საქართველო, ერთ-ერთი პირველი გახდა ასოციაცია „პეგასის“ კოლექტიური წევრი.

ვიმედოვნებთ, რომ ურთიერთხელსაყრელი პროგრამის საფუძველზე, ასოციაციისთან შემოქმედებითი ურთიერთობის შედეგად, აკადემიის სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა შესაძლებლობების (ისინი კი ამოუწურავია) გამოყენებით კიდევ უფრო მაკაფიოდ წარმოჩნდება ქართული სახვითი ხელოვნება. ამის საწინდარია სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა ნაშუაგვარები.

სახვითი ხელოვნების მოღვაწეებს ყოველთვის გვსურდა ქართული გაზეთი საქართველოს კულტურისა და ხელოვნების შესახებ. და აი, საქართველოს კულტურის საერთაშორისო ასოციაცია „პეგასის“ მიერ დაარსებული გაზეთი „პეგასი“ დიდ და სჭირად ღრმად მოგვლინა საქართველოს.

**სოსო კოიბაძე,**  
თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის პრორექტორი, ასოციაცია „პეგასის“ პირველადი ორგანიზაციის თავმჯდომარე.

მოკლეს



გასწი, გაფრინდი, „პეგასო“

გაერთიანება „საქგანათების“ კოლექტივის და პირადად ჩემი სახელით დაბადების დღეს ვულოცავ საქართველოს კულტურის საერთაშორისო ასოციაციის გაზეთ „პეგასს“.

„პეგასის“ გრძელმა საქმიანობამ ერთი მონაკვეთი ჩვენად მიგვანია, რამეთუ საქართველოს ქალაქებისა და დაბების გარე განათებას ასე აკლია ესთეტიკური ეფრასხე და გამოსახვის თანამედროვე ფორმები. იმედი გვაქვს, რომ „პეგასის“ კარგი მრჩეველი იქნება ჩვენთვისაც და კეთილმოწყობის სამსახურების მესვეურთათვისაც, რათა მივუტანოთ ადამიანებს სინათლე, რომელიც ასე სჭირდება გამოღვიძებულ ერს.

მაინც რამხელა არაა იქვე საქართველოს კულტურის საერთაშორისო ასოციაციას... და ჩვენთანაც თანამშრომლობისა და თანამოქმედების დიდი პროგრამა იქნა შემუშავებული: ქუჩებისა და მოედნების, პარკებისა და სკვერების, საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტების, ტერიტორიებისა და ინტერიერების, ავტომაგისტრალებისა და სხვათა და სხვათა დეკორატიული განათება.

ეგვი არ გვეპარება, რომ გაზეთი „პეგასი“ იქნება საქართველოს კულტურის მოღვაწეების კომპეტენტური პროპაგანდისტი და სულიერად აღამაღლებს მკითხველს, რომელსაც ასე მოსწონდა ქართული გაზეთი ქართული კულტურის შესახებ.

**მე, გასწი, გაფრინდი, „პეგასო“,** გავფიქროვებ კეთილ საქმეთა ხაკეთებლად.

**კეპტორ ხუციშვილი,**  
ელექტრო-საქსელ საწარმოო გაერთიანება „საქგანათების“ გენერალური დირექტორი, ასოციაცია „პეგასის“ პირველადი ორგანიზაციის თავმჯდომარე.

ყველა მუხის მფარველი



ბევრი გაზეთი გამოდის დღეს საქართველოში. საზოგადოების ინტერესი დიდად გაიზარდა პრესის მიმართ. ეს ბუნებრივია, დღევანდელმა სოციალურმა და პოლიტიკურმა მდგომარეობამ განაპირობა ადამიანის ასეთი დაინტერესება. მაგრამ რაოდენ დასახანი იყო, რომ ახალგაშობულ გაზეთთა შორის, არც ერთი არ იყო ქართული კულტურის გამწვანებელი სპეციალური გაზეთი. დიდი და საშური საქმე ითავა საქართველოს კულტურის საერთაშორისო ასოციაცია „პეგასმა“, როცა ამ ვაკუუმის შესავსებლად გამოცდა გაზეთი „პეგასი“. ასოციაცია „პეგასი“, რომელმაც თავის ირგვლივ შემოიკრიბა ქართული ხელოვნების ნამდვილი ოსტატები და ენთუზიასტები, არასტანდარტული გზებით, საკითხთა ანლებურად გადაწყვეტით ეწევა თვითმყოფელი ხელოვნების მიღწევითა პოპულარიზაციას.

თავისუფალ და დამოუკიდებელ საქართველოს აუცილებლად სჭირდება ანლებურად, პროგრესულად მოაზროვნე ადამიანი, რომელიც თავისი საქმიანობით კიდევ მეტად წამოწვეს წინ ეროვნულ ინტერესებს და საკუთარი ხალხის კულტურას გააცნობს მსოფლიოს ხალხებს. საქართველოს კულტურის საერთაშორისო ასოციაცია „პეგასი“, რომელიც ამ საქმეში თავისი წვლილის შეტანის შეზღუდვით ამყარებს კულტურულ და სხვა ურთიერთხელსაყრელ კონტაქტებს უცხოეთის ქვეყნებთან, სათანამშრომლოდ იწვევს ქართული კულტურის მოღვაწეებს, ვისთვისაც ძვირფასია ეროვნული კულტურის ხვალისდელი დღე.

სწორედ რომ სჭირდება ასოციაცია „პეგასს“ საკუთარი გაზეთი, რადგანაც საკუთარი პროგრამის გაცნობა საზოგადოებისათვის და ხელოვნათა შემოკრება-გაერთიანება სხვაგვარად წარმოუდგენელია. გულწრფელად ვულოცავ „პეგასს“ ფართო ასპარეზზე გამოსვლას... მგერა, ის ნამდვილი მფარველი იქნება ყველა მუხისა, ვინც მის გვერდით დადგება ქართული კულტურის საიდუმლოდ.

**ჯემალ მდივანი,**  
საქართველოს სახალხო არტისტი, საერთაშორისო კონკურსების დაურატი, საქართველოს კულტურის საერთაშორისო ასოციაცია „პეგასის“ წევრი.

ა ელის გაზეთს ?

დავარსეთ გაზეთი, დიდი იმედებით, დიდი ოცნებებით შევუდგით მუშაობას. ვფიქრობთ, რომ იგი სულ მალე დამოუკიდებელი გახდება („ახალგაზრდა ივერიუს“ გამოყვით) და უფრო მეტი შესაძლებლობა ექნება შემოქმედებითი წინსვლისათვის, მაგრამ...

არსებობს ერთი „მაგარამ“, რომელიც დასაწყისშივე უღობავს გასაჩვენებს იმედებს. იმაზე მოგახსენებთ, წელს, ივლისში საქართველოს კავშირგაბმულობის მინისტრმა პრესისათვის კაბალური ბრძანება რომ გამოცა. ამ ბრძანების მიხედვით უფრო-გაზეთების გადაზიდვისა და მკითხველებამდე მიტანისათვის ამ გამოცემებზე თვითნებური ღირებულების 50,6 პროცენტი უნდა გადაიხადონ.

ეს კოლოსალური თანხაა. ღირებულების ნახევარზე მეტი თუ მხოლოდ გაერთიანების მოხმარდა, რითი ვიყიდოთ ქაღალდი, როგორ გავისტუმროთ სტამბის ხარჯები, რაწარად აეუნახაღურით შრომა უფრო-ლისტებს?!

რა ელის ახალდაარსებულ ჩვენს გაზეთს, გაკოტრება?

ამ კითხვას მხოლოდ ჩვენ არ ვსვამთ. ამავე პრობლემის წინაშე დგანან სხვა უფრო-გაზეთებიც. ამიტომაც ერთობლივად უნდა გავუწიოთ წინააღმდეგობა ამ კაბალურ ბრძანებას. ხოლო თუ კავშირგაბმულობის მინისტრო თავის პოზიციას არ შეცვლის, სხვა გამაგრებელი უხდება მოეძებნეთ.

ასე რომ, მკითხველო, მართალია, ამ საკითხზე ჯერჯერობით ვარკვეულად ვერაფერს ვიტყვით, მაგრამ თქვენი მხარდაჭერის იმედით ის კი შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ გაზეთი იარსებებს და თავის წვლილს შეიტანს საქართველოს კულტურულ ცხოვრებაში.

**რეაქოლვაი.**

მოკლეს




# ფერში გამოვლავნებული გულსთქმა

ივლისში თბილისის მხატვრის ხალხში მოეწყო მხატვარ დათო მაისაშვილის პერსონალური გამოფენა. ვერხისხაძე მეტად ხანტერის და რაც მთავარია, ხალხისთვის აქტუალური თემატიკის მომცველი იყო. მაგრამ, ვიდრე იქ წარმოდგენილ ნამუშევრებზე შევეჩერდებით, ორიოდ სიტყვით ავტორის შესახებ:

აღინიშნოს, რომ სამხატვრო აკადემიიდან მოყოლებული, ფილიალის ჩათვლით, მისი ხელმძღვანელი და პედაგოგი ბატონი უჩა ჯაფარიძე იყო და მის გაკვეთილებს მართლაც რომ უკვალოდ არ ჩაუვლია.

დათო ხელწერა ინარჩუნებს კლასიკურ-კონსერვატიულ



დათო მაისაშვილი დაიბადა ცნობილი ქართველი ფერმწერის სევერიან მაისაშვილის ოჯახში. 1949 წელს, სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო ი. ნიკოლაძის სახელობის სამხატვრო სასწავლებელში. 1974 წელს კი დაამთავრა თბილისის სამხატვრო აკადემიის ფერწერის ფაკულტეტი. 1976-79 წლებში სწავლობდა საბჭოთა კავშირის შემოქმედებით სახელოსნოების თბილისში არსებულ ფილიალში. უნდა

სტილს, რომელსაც ხანტერებოდ უამბობს შევეტრად ინდივიდუალურ მონახმს, გაბედულ შუქჩრდილებს, ამოფაქვებს მისი ნამუშევრები ახლებურად წაითხვას. მისი შემოქმედების თემატიკას, მხატვრის ინტერესის სფეროს წარმოადგენს საქართველოს ისტორიული წარსული, მისი ბედნიერი თუ ტრაგიკული პერიოდები. რასაც დათო მაისაშვილის შემოქმედების სტილზე შევჩერდით, აქვე ვიტყვი თუ მისი მუშაობის ტექნიკურ მხარეზე: იგი წერს, უფრო ზუსტი იქნება თუ ვიტყვი — ძერწავს გულსთქვი ტექნიკით პირდაპირ

დიქტო. ალბათ, ამის გამო იწვევს მისი ნამუშევრები რელიეფურობის შეგრძნებას.

დათოს ტილოების უმრავლესობა მონუმენტურია. ყველაზე დიდია „თბილისის ისტორია“ — 8 მეტრი სიმაღლისა და 12 მეტრი სიგრძის ნამუშევარი. კომპოზიცია 8 ნაწილისაგან შედგება. 4 ცენტრალურ ფიგურას: ვახტანგ გორგასალს, დავით აღმაშენებელს, გიორგი ბრწყინვალეს, ერეკლე II ერთმანეთთან აკავშირებს საქართველოს ისტორიის ყველაზე მნიშვნელოვანი და ხისხლიანი ფურცლები: თბილისის დაარსება, არაბების შემოსევა, თბილისის აღება და კრწანისის ბრძოლა.

ისტორიულ თემაზე შექმნილი ნამუშევრებიდან გამოირჩევა ასევე დიდი ზომის (8 მეტრი სიგრძე, 2 მეტრი სიმაღლე) ტილო „დიდგორის ბრძოლა“. კომპოზიცია ასეა გააზრებული: ცენტრში აღმართული მეფე დავითი, თავზე შარავანდედით ადგას წმინდა გიორგი, ირგვლივ ბატალური სცენებია.

სიმბოლური ხასიათისაა „საქართველოს თეთრი და შავი დღეები“; ცენტრში გამოხატულია წმინდანინო, ტილოს მარჯვენა და მარცხენა ფრთებზე საქართველოსათვის დამაშვილებელი შეფენი დგანან; ქვემოთ, მთელ სიგრძეზე ხახადაფრენილი ურჩხულები და კენტავრები, აქვეა შავ ფონზე თეთრად აღმართული ხაფიზები, რომელიც 9 აპრილს ეხადგება. ზედა ხართული (წმინდანინო და მეფეები) ოქროსფერ, ღია ნათელ ტონებშია მოცემული და მკვეთრ კონტრასტს ქმნის ქვედა ხართულის მუქ, შავ, მძიმე ფერებთან.

ასევე სიმბოლური ხასიათისაა „კონსტანტინე გამსახურდია თეთრი ცხენზე“. ზუმბერაჟ პარონაიკოსს, საქართველოს ისტორიის უბადლო მცოდნეს თავს შავი ფრინველი დახატიალებს...

„ლაშა გიორგის ბრძოლა მონღოლებთან“ და „ერეკლეს ბრძოლა ინდოეთში“ ისტორიული სიუჟეტისაა. ამ უკანასკნელს მნახველი მხოლოდ წლებადღებ გამოფენაზე გაეცნო, თუმცა ის 1985 წელს შეიქმნა. მიზეზი ის გახლავთ, რომ თურმე საბჭოთა კავშირის კარგი ურთიერთობა ჰქონდა ინდოეთთან... ასეთი რამ მართლაც რომ მხოლოდ „დიად საბჭოეთში“ შეიძლება მომხდარიყო.

დათო მაისაშვილი მშვენიერი პეიზაჟების ავტორიცაა, თითქმის ყველაფერმა, რაც ბუნებამ შექმნა და თავისი ხაოცრებითა და განუმეორებლობით სასუდამოდ დაამახსოვრა ხელოვანს თავი, ასახვა მისი შემოქმედებაში: საქართველოს ცადაწვდილმა თოვლიანმა მთებმა, თეთნულდმა, შხარამ, შხეღღამ, უშგულმა, მყინვარწვირმა...

დათო ვერც ოსტატის ხელით ნაკვეთი ტაძრებისადმი დარჩენილა გულგრილი და ასე შეიქმნა სერია: „ძველი შუამთა“, „ტიმოთეს ჭიბანი“, „ბერგების სამება“, „სიონი...“

ამჟამად მხატვარი მთელ თავის შემოქმედებით ძალხა და ინტერესს უთმობს ახატანში წმინდა გიორგის სახელობის ერთნაირი ბაზილიკის მოხატვას. იგი მუშაობს კოლეგასთან — გივი მაისურაძესთან ერთად. ამ კეთილი საქმის სპონსორია საქართველოს ხის პროკურატურა, რომელიც თანხება და ყურადღებას არ იშურებს.

როგორც დასაწყისში გაუწყეთ, დათო მაისაშვილი ახლახან გახდა მეორე პერსონალური გამოფენის ავტორი. პირველად მან თავისი ნამუშევრები წარმოადგინა ორი წლის წინ კლუბ „ფიროსმანში“.

პერიოდულად მონაწილეობდა საკავშირო გამოფენებში, საზღვარგარეთის ქვეყნებშიც: პოლანდიაში, ფინეთში, გერმანიაში, სადაც ქართველმა ემიგრანტმა „მუხინვარწვერი“ შეიძინა, კანადაში კი კერძო პირმა ტრიბუნისიდან „ერეკლე მეფე თავის ქარით“ ერთ-ერთი შეიხიდა. ალბათ, ესეც არის ერთი მნიშვნელოვანი იმისა, თუ რა ქართული კოლორიტიცაა გაუქმდებით დათო მაისაშვილის შემოქმედება, რა ღრმა მცოდნეა თავისი ქვეყნის წარსულისა და რაც მთავარია, რა შეხანიშნავად ესმის, რა იზიდავს დღეს არამარტო ქართველ, არამედ უცხოელ ხელოვნების მოყვარულს.

სურათებზე: დათო მაისაშვილის ნამუშევრები.

საპარტიველოში კარგა ხანია გაჩნდა მისწრაფება კულტურისმისაკენ, მაგრამ ამ დარგში მოპოვებული რაიმე მნიშვნელოვანი წარმატების შესახებ არ სმენია ფართო საზოგადოებრიობას. ენთუზიასტი სპორტსმენების წინაშე მრავალი პრობლემა იდგა, პირველ რიგში ეს იყო ზოგიერთი უწყების ბიუროკრატიული დამოკიდებულება ამ საკითხის დადებითად გადაჭრისადმი, ეს იყო სპორტული დაბაზებისა და ინვენტარის უქონლობა და ვინ იცის, კიდევ რამდენი რამ.

და აი, წლეულს, აპრილში გაიმართა საქართველოს კულტურისზმის ფედერაციის დამფუძნებელი კონფერენცია, სადაც გულწრფელად, არცთუ ორასობად ითქვა იმ ხელისშემშლელ მიზეზებზე, რაც წლების განმავლობაში ამუხრუჭებდა სპორტის ამ სახეობის ფართოდ დაწინაურებასა და განვითარებას.

საქართველოს კულტურის საერთაშორისო ასოციაცია „პეგასი“, საქართველოს კულტურისზმის ფედერაციის დამფუძნებელი, შხარში ამოუდგა ენთუზიასტი სპორტსმენებს, დამტკიცა ფედერაციის წესდება და მიანიჭა მას დამოუკიდებელი სპორტული ორგანიზაციის სტატუსი.

ამჟამად ფედერაციაში გაერთიანებულია რესპუბლიკის ათამდე კლუბი, რომლებშიც 500-ზე მეტი სპორტსმენი ვარჯიშობს. ხუთი თვეც არ არის, რაც ფედერაცია შეიქმნა და ამ მცირე დროში შევძელით ჩავეტარებინა საქართველოს პირველი ჩემპიონატი კულტურისზმში. სხვა და სხვა წინით კატეგორიაში საქართველოს ჩემპიონები გახდნენ ლ. ბოკუჩავა, ს. ბაღდასარიანი და ზ. ნებიერიძე, მათ გადაეცათ საქართველოს კულტურის საერთაშორისო ასოციაცია „პეგასის“ ოქროს მედალები და ჩემპიონის დიპლომები. 23 წლის რაიბულ კირიტიძე, რომელიც მონაწილეობდა ამას წინათ ლიტვის ქალაქ კლიბედაში გამართულ „ქარვის თასის“ პრესტიჟულ საერთაშორისო ტურნირში, მესამე ადგილზე გავიდა და ბრინჯაოს მედალი დაისაკუთრა.

ქართველ კულტურისტთა ფედერაციამ რიგგან მიიღო მიწვევა „ბალტიის თასის“ საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობის მისაღებად. ჩვენს ფედერაციას სხვა ურთიერთობებიც აქვს დამყარებული სხვადასხვა სპორტულ ორგანიზაციებთან, მაგრამ პირველ რიგში ჩვენ მოვუწოდებთ ქართველ სპორტსმენებს, სპორტულ კლუბებს, ორგანიზაციებს განუთინდნენ ჩვენს ფედერაციაში. ეს იქნება სპორტის ამ ლამაზი სახეობის საქართველოში განვითარების საწინდარი. კულტურისზმი ხომ აღამაინს ლამაზ სხეულს აყალიბებს, ლამაზ სხეულში კი ლამაზი სულია.

## თქვენი

## ჯერია,

## გაუქვებო!

ამ ცოტა ხნის წინათ საქართველოს კულტურის საერთაშორისო ასოციაცია „პეგასის“ სახელზე ბარათი მოვიდა, სამტრედიის რაიონის სოფელ ბაშის საშუალო სკოლის მოსწავლეები გამოხატავდნენ „პეგასის“ წევრობის სურვილს. ამ ბარათმა დიდი სისარული გამოიწვია, რადგანაც ბაშის სკოლა პირველ სფელის სკოლა, ვინც მოინდომა გამხდარიყო კულტურის საერთაშორისო ასოციაციის კულტურისზმის წევრი. „დიდი ხანია გვიწოდდა წევრად გახდომამ, მაგრამ ვყოყმანობდით, რადგან ჩვენი, ერთ ღროს ძალიან დიდი სკოლა,



მიხეილ ხუსკივაძე,

საქართველოს კულტურისზმის ფედერაციის პრეზიდენტის თავმჯდომარის მოადგილე.

სურათზე: რაიბულ კირიტიძე.

ამჟამად მხოლოდ 200-ოდ მოსწავლეს უზრდის საქართველოს, — მორიდებით წყრდნენ ბარათში ბაშელი მოსწავლეები.

გულსატკენია, რომ ასე მკვეთრად შემცირებულია მოსწავლეთა რაოდენობა ბაშის საშუალო სკოლაში, რაც უთუოდ იმ არასწორი სოციალური თუ დემოგრაფიული პოლიტიკის გამოძახილია, რომელიც წლების განმავლობაში ტარდებოდა საქართველოში, მაგრამ ნურც ბაშელ და ნურც სხვა სოფლების სკოლების მოსწავლეებს ნუ მოერიდებათ თავიანთი მცირერიცხოვნობისა, გაინსენეთ, რომ კრწანისის ომის გმირი არაგველებაც მხოლოდ სამსანი იყვნენ. თავიანთ ქვეყნის მოყვარე და მისთვის სარგებლობის მომტანი ორასი ყმაწვილი დიდი ძალაა. ბაშელებო, თქვენ უკვე ხართ ასოციაცია „პეგასის“ წევრები, ახლა იმაზე იფიქრეთ და იზრუნეთ, რა შეგიძლიათ გააკეთოთ თქვენი ძალებით ქართული კულტურისათვის, ნურც იმას დაივიწყებთ, რომ მოსწავლის უპირველესი თავდადება და პატიოტუზმი კარგი სწავლით გამოიხატება.

გაზეთი გამოდის თვეში ორჯერ

საკრედიტო კოლეჯი



დაიბადა საპარტიველოს კვ ცა-ის გამოცემლობის სტამბაში

მისამართი:  
#80062, ი. ჭავჭავაძის  
პრ. № 55.



# საქართველოს ლიბერალურ დემოკრატიულ პარტიის ზეგადასარტყელი მემორანდუმის განცხადება

ვინაიდან უკანასკნელ ხანებში ქალაქ ზუგდიდსა და ზუგდიდის რაიონში არსებულ იზრდება კორუფციის, გამომავლის, ძარცვის, მკვლელობის, მშვიდობიან მოსახლეობაზე შეიარაღებული თავდასხმისა და სისხლის სამართლის სხვა დანაშაულებათა რიცხვი;

ვინაიდან ეროვნულ მოძრაობას შიგნით უძლიერესი შვილები; შიგნით ტერორიზირებულია (ამ სიტყვის უმართობო მნიშვნელობით) ჭაბუკისა და რაიონის მთელი მოსახლეობა; განსაკუთრებით კი წარმოება-დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელები;

ვინაიდან ქ. ზუგდიდსა და ზუგდიდის რაიონში გამეფებული განუყოფლობის თავი და თავი მიზეზი არის ადგილობრივი ხელისუფლების უნიათო, ხშირ შემთხვევაში ანარქიის (ამ სიტყვის საბჭოური მნიშვნელობით) ხელშეწყობი ქვედებანი, რამაც ფაქტურად მოშალა სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობა და მილიციის მუშაობა გაუძვირდა კი გამოიწვია;

ვინაიდან დირწმუნებულია რომ დაძაბული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარება წინასწარ ჩვენი პერიოდში უარყოფით გავ-

ლენას მოახდენს საბჭოურ სინამდვილეში პირველი მრავალპარტიული არჩევნების ნორმალურად ჩატარებაზე;

ვინაიდან წარმოება-დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში ჭერ კიდევ მოქმედებენ კომუნისტური პარტიის სტრუქტურული მეტასტაზები — პირველადი პარტიული ორგანიზაციები, რომლებიც ადმინისტრაციულ-მმართველური სისტემის ბატონობის პირობებში გარკვეულ პრივილეგიას უქმნიან კომუნისტებს არჩევნებში გასამარჯვებლად.

საქართველოს ლიბერალურ-დემოკრატიული ეროვნული პარტიის ზუგდიდის რეგიონული ორგანიზაცია, რომელიც სოლიდარობას უცხადებს გაფიცული მილიციის მუშაკებს და მოუწოდებს ადგილობრივ პოლიტიკურ ძალებს, ქალაქისა და რაიონის საზოგადოებას ხმა აღიმართოს არსებული გვანუკითხაობის წინააღმდეგ, თავს მოვაღიდ თვლის განცხადებს შემდეგ:

1. იმ შემთხვევაში თუ ადგი-

ლობრივი ხელისუფლება ამა წლის 5 სექტემბრამდე არ (ან ვერ) უზრუნველყოფს ქ. ზუგდიდსა და ზუგდიდის რაიონში დაძაბული საზოგადოებრივ-პოლიტიკური სიტუაციის განმუხტვას და არ (ან ვერ) შექმნის მოსახლეობის მშვიდობიანი ცხოვრებისათვის აუცილებელ პირობებს;

2. იმ შემთხვევაში თუ ადგილობრივი ხელისუფლება უმოკლეს ვალში არ (ან ვერ) გამოავლენს ეროვნული მოძრაობის სახელით მოქმედ ყველა გამომძალველ ბიუროკრატს;

3. იმ შემთხვევაში თუ კომუნისტური პარტიის ზუგდიდის გაერთიანებული კომიტეტი და ადგილობრივი ხელისუფლება ამა წლის 5 სექტემბრამდე არ უზრუნველყოფენ წარმოება-დაწესებულებების დიფერენციაციას და საერთადადმცავი ორგანოების ლეგიტიმაციას.

საქართველოს ლიბერალურ-დემოკრატიული ეროვნული პარტიის ზუგდიდის რეგიონული ორგანიზაცია იმუშავებს გახდება მომართოს პოლიტიკური ბრძოლის სათანადო ფორმებს. ამა წლის 6 სექტემბრამდე მოსალოდნელი აქტის შედეგზე პასუხისმგებლობა მიიღონ და ექსპრესივად კომუნისტური პარტიის ზუგდიდის გაერთიანებულ კომიტეტს და ადგილობრივ ხელისუფლებას.

**ლენას ზეგადასარტყელი მემორანდუმის განცხადება**

**ლენას ზეგადასარტყელი მემორანდუმის განცხადება**

# არჩევნების და არაღანიის გამო

საქართველოში პირველად უნდა გაიმართოს მრავალპარტიული არჩევნები!

ვისი გამარჯვებაა არჩევნებში სასურველი — რუსთაველის საზოგადოების? სახალხო ფრონტის? მრავალი მაგიდა? მწვანეების? ფედერალური პარტიის? დასის? არც ერთის!

მრავალპარტიული არჩევნებში უნდა გაიმართოს საქართველოს ეროვნულმა მოძრაობამ! ეს გამარჯვება ნიშნავს უზენაესი საბჭოს გარდაქმნას კეშმარტ პარლამენტად და საქართველოს პოლიტიკური დამოუკიდებლობის აღდგენის რეალურ ინსტრუმენტად.

ვის არის საქართველოს ეროვნული მოძრაობის მეთავე მომავალ არჩევნებში — რუსთაველის საზოგადოება? სახალხო ფრონტი? მრავალი მაგიდა? მწვანეები? დასი? არც ერთის!

საქართველოს ეროვნული მოძრაობის მეთავე მომავალ არჩევნებში არის კომუნისტური პარტია, რომელმაც ქვეყანა მიყვანა პოლიტიკურ, ეკონომიკურ, ზნეობრივ, ეროვნულ კრახამდე. როგორია მომავალ არჩევნებში, ერთი მხრივ, საქართველოს ეროვნული მოძრაობისა და, მეორე მხრივ, კომუნისტური პარტიის შანსები?

ეროვნული: მოძრაობის შანსების ზუსტი განსაზღვრა ძნელია. რადგან ძნელია ზღვაში თევზის და ცაში ფრინველის დათვლა!

სამაგიდროდ იოლია, მეტნაკლები სიზუსტით განსაზღვროს კომუნისტური პარტიის შესაძლებლობები!

მინც, წინასწარი გარაუდით, ვინ მისცემს ხმას კომუნისტურ პარტიას?

უპირველეს ყოვლისა, ალბათ კომუნისტთა 400.000-იანი არმიის „ნომინალური“ ილემენტები: სხვადასხვა ჯურის სეპარატისტები; ალბათ სუკის მუშაკთა გარკვეული ნაწილი; ეკონომიკური მფობის ერთი ნაწილი; ხილოვნური და მიზანდასახული ორგანიზაციული დისკრიმინაციით თავმოყრებულ უბირ მოსალოცითა ნაწილი...

სიინტრიგოსა. აარდა კომუნისტებისა. სხვა რომელი პარტია ან პარტიული ალიანსი იარაურობს ხმათა ამგარბივ რაოდენობის იარაგობას?

დაბეჭივებით შეგიძლია განაცხადოთ. ეს შეიძლებელია! არჩევნებში კომუნისტური პარტიის დასამარცხებლად აუცილებელია მთელი ეროვნული მოძრაობის გაერთიანება. აუცილებელია სრული კონსოლიდაცია. არჩევნების დღისთვის უნდა ერთმანეთის პირისპირ დარჩეს ორადორი ბლოკი — კომუნისტური პარტია და ეროვნული მოძრაობა. უნდა გვახსოვდეს: პირველი რი-

ვის ამოცანა არჩევნებში ეროვნული მოძრაობის გამარჯვებაა, უფრო ზუსტად — კომუნისტური პარტიის დამარცხება! სხვა ყველაფერი პირველი ეროვნული პარლამენტის სხდომებზე გაირკვევა... მხოლოდ ამ გზით, მხოლოდ ამ შემთხვევაში — სრული კონსოლიდაციის შემთხვევაში — აქვს ეროვნულ მოძრაობას გამარჯვების შანსი. სხვაგვარად სირცხვილს სჭამს მთელი ერთი — მოხდება უკანასკნელი დროისთვის უპირველესი რამ: საქართველო იქნება ალბათ ერთადერთი ქვეყანა, სადაც არჩევნებში გაიმარჯვებს მთელი მსოფლიოს თვალში სახელგატეხილი პარტია...

ამის დაშვება არ შეიძლება. თუ ეს მაინც მოხდა, ნანატრი დღი, რომლის გამოც ამდენს ვზრუნავთ, ვფიქრობთ და ვწერთ, კაცმა არ იცის, კიდევ რა ხნით გადაიწვევს მორტელ მომავალში... ამიტომ, რუსთაველის საზოგადოება მოუწოდებს ეროვნული მოძრაობის გულმგებელთა ყოველ ქართველსა და არაქართველს, აქციოს სრული, უთუო და უმტკიცო კონსოლიდაციის იდეა საყოველთაო განსჯის საგნად, ოღონდ, ამასთან, ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ გადაწყვეტილება დროულად და მისაღება — არჩევნებამდე ორიოდ თვეა: დარჩენილი.

არჩევნებში ეროვნული მოძრაობა უნდა გამოვიდეს ერთ მუშტად შეერთებული, როგორც ერთი მონოლითი, ერთი ბლოკი, და დაუპირისპირდეს მეორეს — კომუნისტურ ბლოკს.

კომუნისტების პარტიის უდიდეს გამოცდილებას, მის სიმდიდრეს, მის აპარატს, მის საილუმო მოციკას ეროვნულმა მოძრაობამ უნდა დაუპირისპიროს ერთიანობა. საქართველო ზეპარტიული მოვლინაა და, მისი ინტერესებიდან გამომდინარე, უნდა ყოველგვარი პირადი ამბიციები დაფიქსუოთ, თუ არ გვინდა, პარტიამ კიდევ ერთხელ დაგვიჩაგროს **შაბრია**!

როგორც ხალხური იგავის სიბრძნე გვასწავლის, წაიკიდებული ძალებივც კი მკლას გამოჩენისას თავს ანებებენ ჩხუბსა და ღირბას, თუ რა გვიმართება ჩვენ — სამშობლოს დიდებაზე მეტყინებ კეთილშობილ მაშულიშვილებს! რით ვერ გაგვრთიანებულვართ!

თავითვითებითაც დადებით — ამ თანხმობის მისაღწეად არ გამოდგება თანხმობისა და ერთობის სახელით შექმნილი ახალი და ახალი საზოგადოებრივი — ისინი მხოლოდ აღრმეებენ განხეთქილებას. უნდა შეიქმნას არა კიდევ ერთი, არამედ **ერთადერთი** გაერთიანება — მთელი ეროვნული მოძრაობა იქცეს ერთ სხეულად და სულად!

გაუმარჯოს ერთიან, თავისუფალ, დემოკრატიულ საქართველოს!

**სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოება**

# საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმს

დღეს საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურმა ვითარებამ თავის კანონზომიერ კლმინაციას მიაღწია. რესპუბლიკის სამართალდამცავი ორგანოები ამ სიტუაციაში პასუხისმგებლობის როლში აღმოჩნდნენ. ისინი მხოლოდ მოვლენების განვითარების კონსტრუქციას ახდენენ. ამ რთულ სიტუაციაში სამართალდამცავი ორგანოები ვალდებული არიან ემსახურონ კანონსა და ხალხის ინტერესებს. ხალხი კი ვერ აღიქვამს ამ ორგანოებს საზოგადოების ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილად, რადგანაც ისინი უფრო ელიტრებული ნაწილის მსახურად მიაჩნია. ეს ნაწილი კი ვერ ბედავს გადადგას ისეთი ნაბიჯი, რასაც სამართალდამცველი ორგანოების საზოგადოებასთან დაახლოება მოჰყვება. დიას, ვერ ბედავს იმტომ რომ ხელს არ აძლევს.

ჩვენ რამდენიმეჯერ მივმართეთ საქართველოს სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლებს (იხ. „ახალგაზრდა კომუნისტი“ № 30 და „ახალგაზრდა ივერიელი“ № 67) მხარი დაეჭირათ რესპუბლიკის სამართალდამცავი ორგანოების დემოკრატიზაციისა და დიფერენციაციისათვის. მაგრამ მათ მიერ კონკრეტული ნაბიჯის გადადგმის ყოველი ცდა „დროულად“ იქნა აღკვეთილი ამ უწყებათა ხელმძღვანელებისაგან. მათ არ უნდოდათ საქართველო ყოფილიყო ამ მამულიშვილური საქმის პიონერი. და აი, შედეგშიც არ დაყვანა: გაიფიცნენ დასავლეთ საქართველოს რეგიონის მილიციის მუშაკები და სულაც არ არის გამორიცხული იგდვ საქართველოს სხვა რეგიონებშიც განმეორდეს. ალბათ, დადა დრო, ჩვენც განვთავისუფლდეთ კომუნისტური პარტიის დიქტატისაგან. მაგრამ ამ

უკანასკნელს არ ეთმობა თავისი პოზიცია.

დღეს საბჭოთა კავშირის 73 წლიან ისტორიაში გაუგონარი რამ მოხდა — გაიფიცა მილიცია, ვინ აგებს პასუხს იმ შედეგებზე, რაც შეიძლება მოჰყვეს ამა? ალბათ, ხელისუფლება შეეცდება ეს პასუხისმგებლობა ისევ და ისევ ამ სამსახურის წარმომადგენლებზე გადაიტანოს, ნაცვლად იმისა, რომ კონკრეტული ნაბიჯები გადადგას, რათა სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლებს საშუალება მიეცეთ, დადგნენ იქ, სადაც ხალხი დგას.

მოვიხსოვოთ, საქართველოს უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაუყოვნებლივ მიიღოს დადგენილება საქართველოს სამართალდამცველი ორგანოების დემოკრატიზაციისა და დიფერენციაციის შესახებ და ეს იქნება კიდევ ერთი ნაბიჯი ერის კონსოლიდაციისა და საქართველოს, დამოუკიდებლობის გზაზე. მივმართავთ საქართველოს სამართალდამცველ ორგანოთა თანამშრომლებს მხარი დაუქიროს ჩვენს ამ მოთხოვნას.

**პანტანა გომოლაძე,**  
ფსიქიკის მრჩეველი  
**პანტანა თორდია,**  
I კლასის იურისტი,  
**ბია გულუა,**  
მილიციის მაიორი

# დედაქალაქის სიახლენი

# ახალი სკოლა ნორჩი თბილისელ-ბისტვის

დიდი დიდობის მესამე მიკრორაიონში დამთავრდა საშუალო სკოლის ახალი შენობის აგება. სასწავლო წლის დაწყებისათვის 840 მოსწავლე შეევა ვრცელ, ნათელ კლასებსა და ლაბორატორიებში. კეთილსინდისიერად ირჯება საწარმოო გაერთიანება „თბილქალაქშენის“ № 3 სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს კოლექტივი.

**სურათზე:** ახალი სკოლა ახალ რაიონში; მიმდინარეობს დამამთავრებელი მოსაპირკეთებელი სამუშაოები.

**შანგვალ აბიპაშვილის ფოტო.**  
(საქინფორმის ფოტოკონტაქტი).



# განცხადება

**კუპანური** ასოციაცია „კუთარხისის“ სათნოების ორდენი შეახსენებს ყველას, ვისაც სურვილი აქვს მონაწილეობა მიიღოს ჰუმანური მოძრაობაში „კვირაში ერთი დღე მოყვას“ და ეს დღე თავის ყველაზე გაჭირვებულ თანამომქს დაუთმოს, რომ ორდენის წევრები ტრადიციულად შეიკრიბებიან ქაშუეთის ტაძრის

განცხადება

ეზოში შაბათს, 1 სექტემბერს, 11 საათისათვის.

ასი ყველაზე გაჭირვებული მართხელა ხანდაზმულისათვის საზოგადოებრივი პირადი დაწესებულებებიდან ამ დღეს შეიძენენ საქართველოს ნავთობპროდუქტების სამინისტროს თანამშრომლები.

**სათნოების ორდენი**  
(ჰუმანური ასოციაცია „კუთარხისი“).

# განცხადება

**კუპანური** ასოციაცია „კუთარხისის“ სათნოების ორდენი შეახსენებს ყველას, ვისაც სურვილი აქვს მონაწილეობა მიიღოს ჰუმანური მოძრაობაში „კვირაში ერთი დღე მოყვას“ და ეს დღე თავის ყველაზე გაჭირვებულ თანამომქს დაუთმოს, რომ ორდენის წევრები ტრადიციულად შეიკრიბებიან ქაშუეთის ტაძრის

